

9-65/3



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 8 (277)

23 მაისი

1965 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

ბანყოფილება პირველი

- 114. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ისლამის რესპუბლიკა მარეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. მ. ლავროვის დანიშვნის შესახებ.
- 115. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზამბიას რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ა. სლიპჩენკოს დანიშვნის შესახებ.
- 116. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალ ზელანდიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ბ. ი. ღოროფევეის დანიშვნის შესახებ.
- 117. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 118. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 119. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის რადიომრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 120. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის გემთშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის გემთშენებლობის მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 121. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 122. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ.
- 123. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ.

- 124. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. პ. ვ. ლეშენტიევის სსრ კავშირის სააგიაციო მრეწველობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 125. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ა. ზვერევის სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 126. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ვ. დ. კალმიკოვის სსრ კავშირის რადიომრეწველობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 127. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ბ. ე. ბუტომას სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 128. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ი. შოკინის სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 129. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ე. პ. სლავსკის სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 130. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ა. აფანასიევის სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის მინისტრალ დანიშვნის შესახებ.
- 131. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა ჩამდენი პირების დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ჩადენილი ეს დანაშაულები.
- 132. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო პენსიების კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.

ბანაოზილება მიორე

- 133. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ნ. ი. ნეპომნიაშჩაის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 134. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. თ. კოლონიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 135. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. ს. სარაინსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
- 136. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. როდმცევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 137. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ კ. ა. ლორთქიფანიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 138. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო-სახლგო ფლოტის მატროსის ა. ფ. ბიჩკოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 139. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მ. გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობის ვ. ვ. ბელოკუროვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 140. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. პ. პ. ვირსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 141. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყალმუხეთის ასსრ მეცხვარეობის მოწინავე მუშაკებისათვის საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
- 142. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყალმუხეთის ასსრ მეცხოველეობის მოწინავე მუშაკთა სსრ კავშირის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 143. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ი. კლიაკაიას სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და ვ. მ. რიბოვოლოვის სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბანუოზილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა სირიის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალახ ედ-დინ ტარაზიმ.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტში.

მიმართვა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტისა ყველა ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ნაწილი II

ბანუოზილება მეორე

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ა. ს. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ნაწილი I

ბანჟოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

114 ისლამის რესპუბლიკა მავრეთში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. მ. ლავროვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე მიხეილის ძე ლავროვი ისლამის რესპუბლიკა მავრეთში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 თებერვალი.

№ 3289-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

115 ზამბიას რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. ა. სლიპჩენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი ალექსანდრეს ძე სლიპჩენკო ზამბიას რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 1 მარტი.

№ 3309-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

116 ახალ ზელანდიაში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან დესპანად ბ. ი. დოროფევიცის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბორის იაკობის ძე დოროფევიცი ახალ ზელანდიაში სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიან დესპანად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 1 მარტი.

№ 3310-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

117 სსრ კავშირის საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის
სსრ კავშირის საავიაციო მრეწველოების საერთო საკავშირო
სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.
2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.
№ 3318-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

118 სსრ კავშირის თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის
სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველოების საერთო საკავშირო
სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.
2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.
№ 3319-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

119 სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის
 სსრ კავშირის რადიომრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტრო
 საპრეზიდიუმო განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის რადიომრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.
2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3320-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

120 სსრ კავშირის გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის
 სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის საერთო სა-
 კავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.
2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3321-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

121 სსრ კავშირის ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის
 სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის საერთო სა-
 კავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.



2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. შიჰოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3322-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

122 სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლოების სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლოების საერთო საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტი სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტროდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. შიჰოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3323-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

123 სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლოების საერთო საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტრო.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებიც განკარგვისათვის უნდა გადაეცეს სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. შიჰოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3324-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

124 ამხ. პ. ვ. დემენტიევის სსრ კავშირის საპატენტო მრეწველობის
 მინისტრალ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. პეტრე ვასილის ძე დემენტიევი სსრ კავშირის საავიაციო
 მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3325-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

125 ამხ. ს. ბ. ჯვერავის სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის
 მინისტრალ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სერგი ალექსის ძე ჯვერევი სსრ კავშირის თავდაცვითი
 მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3326-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

126 ამხ. ვ. დ. კალმიკოვის სსრ კავშირის რადიომრეწველობის
 მინისტრალ დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვალერი დიმიტრის ძე კალმიკოვი სსრ კავშირის რადიო-
 მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3327-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

127 ამხ. ბ. ე. ბუტომას სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ბორის ესტატეს ძე ბუტომა სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3328-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

128 ამხ. ა. ი. შოკინის სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე შოკინი სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3329-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 ამხ. ე. პ. სლავსკის სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ედუარდ პავლეს ძე სლავსკი სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3330-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 ამხ. ს. ა. აზნანსიევის სსრ კავშირის საერთო მანქანათმშენებ- ლოგის მინისტრალ დანიუვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დანიუვნის ამხ. სერგი ალექსანდრეს ძე აფანასიევი სსრ კავშირის საერთო
მანქანათმშენებლობის მინისტრალად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 2 მარტი.

№ 3331-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 მზვიდოგისა და ადამიანოგის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა ჩამდენი პირების დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ჩამდენი ეს დანაშაულები

აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს კაცობრიობას პიტლერელმა
დამნაშავეებმა, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღეს. ათობით მილიონი
სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ბავშვები, ქალები და მოხუცები
მხეცურად დახოცეს, აწამეს სიკვდილის ბანაკებში, დაახრჩეს ვაზის კამერებში.
გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მასობრივად
წაასხეს მონებად სამოქალაქო მოსახლეობა, მხეცურად ეპყრობოდნენ სამხედ-
რო ტყვეებს, ბარბაროსულად დაანგრეს ათასობით ქალაქი და სოფელი.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც ყველაზე მეტი ზარალი განიცა-
დეს ომში, ვერ შეურიგდებიან იმას, რომ ფაშისტი ბარბაროსები დაუსჯელნი
დარჩნენ. საბჭოთა სახელმწიფო მუდამ ხელმძღვანელობს საერთაშორისო სა-
მართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმებით იმის შესახებ, რომ საჭიროა
დაისაჯონ პიტლერელი დამნაშავეები, სადაც და რამდენ ხანსაც უნდა ემალე-
ბოდნენ ისინი მართლმსაჯულებას.

ითვალისწინებს რა, რომ ხალხთა სინდისი და მართლშეგნება ვერ შეურიგ-
დება ფაშისტ დამნაშავეთა დაუსჯელობას, რომლებმაც უმძიმესი ბოროტმოქმე-
დებანი ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში,

მიაჩნია რა, რომ ამ პირებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ პატიებისა და მათ
ბოროტმოქმედებათა დავიწყების იმედი,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინ-
ციპების შესაბამისად, რომლებმაც თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს საერთა-
შორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებასა და გაერთიანებული ერების ორ-
განიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, ადგენს:

ნაციონალიზმის დამაშავეები, რომლებმაც ჩაიდინეს უმძიმესი ბოროტმოქმედებები ბანკის მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულები. უნდა გასამართლებულ იქნენ და დაისაჯონ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხანი გავიდა დანაშაულთა ჩადენის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 4 მარტი.

№ 3332-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 სახელმწიფო პენსიების კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

1. დაწესდეს, რომ პენსია სამამულო ომის III ჯგუფის ინვალიდისა, რომელიც მუშაობს (აგრეთვე კოლმეურნეობაში), არ შეიძლება იყოს ინვალიდობის პენსიის დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ სსრ კავშირის 1956 წლის 14 ივლისის კანონის („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1956 წ., № 15; 1960 წ., № 18) 51 მუხლში და ამ მუხლის შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„III ჯგუფის მომუშავე ინვალიდებს პენსია ეძლევათ ისეთი ოდენობით, რომ პენსია და გამომუშაება ერთად არ აღემატებოდეს მთელ იმ გამომუშაებას, რომელიც პენსიის დანიშვნის წინ ჰქონდათ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეძლევათ დანიშნული პენსიის სულ ცოტა 50 პროცენტი. სამამულო ომის III ჯგუფის მომუშავე ინვალიდებს პენსია ეძლევათ ისეთი ოდენობით, რომ პენსია და გამომუშაება ერთად არ აღემატებოდეს მთელ იმ გამომუშაებას, რომელიც პენსიის დანიშვნის წინ ჰქონდათ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეძლევათ პენსიის სულ ცოტა 50 პროცენტი და სულ ცოტა ინვალიდობის პენსიის დადგენილი მინიმალური ოდენობა“.

2. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1965 წლის 1 მაისიდან.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 მარტი.

№ 3333 ა-VI.

ბანყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 ამხ. ნ. ი. ნეპომნიაშჩაიას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ხელნაწერ მემკვიდრეობაზე მუშაობაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ილიას ასული ნეპომნიაშჩაია დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 მარტი.

№ 3333-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 ამხ. ა. თ. კოლონიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის, შორეული ჩრდილოეთის რაიონებში მრავალი წლის აქტიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ტაიმირის საოკრუგო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსი თევდორეს ძე კოლონიჩენკო დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მარტი.

№ 3334-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. ს. სარიანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვარს მარტიროს სერგის ძე სარიანს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამვალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მარტი.

№ 3335-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. როდინცავის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ილიას ძე როდინცევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მარტი.

№ 3339-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 მწერალ კ. ა. ლორთქიფანიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მარტი.

№ 3340-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

138 სამხედრო-საზღვაო ფლოტის მატროსის ა. ფ. ბიჩკოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ოფიცრის სიცოცხლის გადაჭრენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მატროსი ანატოლი ფილიპეს ძე ბიჩკოვი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მარტი.

№ 3341-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

139 სსრ კავშირის მ. გორაკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობის ვ. ვ. ბელოკუროვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრის და კინოს განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის მ. გორაკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობს ვლადიმერ ვიაჩესლავის ძე ბელოკუროვს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მარტი.

№ 3342-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 ამხ. პ. პ. ვირსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით უკრაინის სსრ ტეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი ამხ. პავლე პავლეს ძე ვირსკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მარტი.

№ 3343-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

141 ხალხმუხეთის ასსრ მცხვარაობის მოწინავე მუშაკებისათვის საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ცხვრის მოშენებასა და პროდუქტიულობის ამაღლებაში გაწეული თავდადებული შრომისა და მოპოვებული თვალსაჩინო შედეგებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“:

1. დიმიტრი სტეფანეს ძე ვენეცკის — გოროდოვიკოვის რაიონის № 383 საბჭოთა მეურნეობის ეფროსს მწყემსს.

2. სანჯი ოჩირის ძე **დორჯიევს** — ყამირის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ლენინსკის“ უფროს მწყემსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 მარტი.

№ 3344-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 ხალხურების ასსრ მაცხოვრებლის მოწინავე მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდასა და პირუტყვის სულადობის შენარჩუნებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

ლენინის ორდენით

1. ივანე აიფინგალიევი — იუსტიის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პოლინის“ უფროსი მწყემსი.

2. ალექსანდრე ანდრიას ძე პუშკარიოვი — ყამირის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. მულდაგალი ბიფინგალიევი — იუსტიის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პოლინის“ უფროსი მწყემსი.

2. პეტრე ივანეს ძე გეტმანსკი — ტბისპირეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „სადოვის“ უფროსი მწყემსი.

3. თევდორე ივანეს ძე კალინჩენკო — სარპინსკის რაიონის კოლმეურნეობა „გიგანტის“ უფროსი მწყემსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 მარტი.

№ 3345-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ს. ი. კლიაცკაიას სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და ვ. მ. რიგოვოლოვის სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიის სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდნენ:

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით:

სერაფიმა ივანეს ასული კლიაძეაია (სიკვდილშემდგომ).

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით:

ვლადიმერ მიხეილის ძე რიბოვოლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 13 მარტი.

№ 3346-VI.

განყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ი. მიქოიანს რეზიუმის სიგელზე გადასცა სირიის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში სალახ ედ-დინ ტარაზი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

3 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში სალახ ედ-დინ ტარაზი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველები მ. ნ. ჯისრი, მ. ფ. რიფაი, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი მ. ხნეიდი, პირველი მდივანი ხ. ბიტარი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და სალახ ედ-დინ ტარაზის შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ორლოვმა.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტში

2 მარტს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის სხდომა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, რომელიც არ შეიძლება არ აღეგებდეს საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ლაპარაკი ეხებოდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის ღონისძიებებს იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განიზრახა 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს პიტლერელ დამნაშავეთა სასამართლო დევნა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის „ხანდაზმულობის ვადის გასვლის“ გამო.



საქართველოს
საპარლამენტო

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ი. ვ. სპირიდონოვმა თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი, ისევე როგორც ყველა პარტიის ადამიანი, გულგრილად ვერ შეხვდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა სინდისი ვერ აპატიებს ჰიტლერულ სამხედრო დამნაშავეებს საზარელ ბოროტმოქმედებას, ჩადენილს კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ.

კომიტეტის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვეს მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. ს. გროსულმა, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ა. ტ. გონჩარმა, ოკეანური თევზსაჭერი ფლოტის ტალინის ბაზის ექსპედიციის უფროსმა ლ. ი. სონგმა, საკდესის გენერალურმა დირექტორმა დ. პ. გორიუნოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. ფ. გორკინმა, დაღესტნელმა პოეტმა რ. გ. გამზატოვმა. წაიკითხეს აგრეთვე ლენინგრადის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის დირექტორის ა. ა. გრუზდევის სიტყვა.

სიტყვაში გამოსულებმა ყველამ გამოთქვა ღრმა გულისწყრომა გერმანიის ფერედაციული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვის მიმართ.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ყველა ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფებისადმი.

ა მ ი ა რ თ ვ ა

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტისა ყველა ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფებისადმი

ოცი წლის წინათ თავისუფლების მოყვარულმა ხალხებმა გაანადგურეს ფაშისტი აგრესორები, რომლებმაც ქვეყნიერებას თავს დაატყვევეს მეორე მსოფლიო ომის კატასტროფა, მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლედ, უმაგალითო უბედურებად და ტანჯვად რომ დაუჯდათ ხალხებს. ხალხთა სინდისი ვერ შეუწინდებლად აგრესიული ომის გაჩაღებას და კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ ჰიტლერული სამხედრო დამნაშავეების მიერ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათ, რაც გამოიხატა სრულიად უდანაშაულო ადამიანების წამებით, მონებად წასხმით, მასობრივი ხოცვა-ჟლეტით, სამხედრო ტყვეებისადმი არაადამიანური მოპყრობით, ათასობით ქალაქისა და სოფლის ბარბაროსულად დანგრევით, კულტურის ძეგლთა განადგურებით.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა მთავრობებს არაერთხელ განუცხადებიათ საჩაროდ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოქებნონ და დასაჯონ ყველა, ვისაც ბრალი მიუძღვის ბოროტმოქმედების ჩადენაში. ეს გამოხატული იყო 1942 წლის 13 იანვრის დეკლარაციაში ომის დროს ჩადენილ დანაშაულობათა გამო სასჯელის შესახებ, 1943 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში ჩადენილი მწყობის გამო ჰიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ, საერთაშორისო სამ-



ხედრო ტრიბუნალის 1945 წლის 8 აგვისტოს წესდებაში, გერმანიის საკონსტიტუციო საბჭოს № 10 კანონსა და სხვა საერთაშორისო აქტებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის 13 თებერვლის და 1947 წლის 31 ოქტომბრის რეზოლუციებით დაადასტურა ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა უცილობელი დასჯის პრინციპი.

თუმცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დიდი დრო გავიდა, ჰიტლერელი დამნაშავენი ჯერ კიდევ ყველა არ არის მოძებნილი და დასჯილი. უფრო მეტიც, გარკვეული წრეები ცდილობენ სულ გაათავისუფლონ ისინი პასუხისმგებლობისაგან ჩადენილ უაღრესად მძიმე ბოროტმოქმედებათა გამო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განიზრახა 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს ჰიტლერელ დამნაშავეთა სასამართლო დევნა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის „ხანდაზმულობის ვადის გასვლის“ გამო.

ამ განზრახვამ გამოიწვია პატიოსანი ადამიანების ღრმა აღშფოთება მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, იმ ქვეყნების ხალხთა ღრმა აღშფოთება, რომელნიც დაზარალდნენ ჰიტლერული აგრესიის გამო. ამის შეფასება არ შეიძლება ისე, თუარა შეგინება ჰიტლერიზმის სისხლიან დანაშაულობათა მილიონობით მსხვერპლის ხსოვნისა წარსული ომის წლებში, თუარა ცდა წააქეზონ ის ძალები, რომელნიც დღეს რევანშის გეგმებს გულით ატარებენ. ამის გამართლება არ შეიძლება ხანდაზმულობის ვადის იმ დებულებათა დამოწმებით, რომელთაც შეიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა. ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ იცნობს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ის სახელმწიფოებს ავალდებულებს სისხლის სამართლის წესით დევნონ და დასაჯონ ისინი, ვინც ჩაიდინეს დანაშაულობანი მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაულობანი და დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხანი გავიდა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების პარლამენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება განაგრძონ ჰიტლერელ დამნაშავეთა სასამართლო დევნა და არ მიუყენონ მათ ხანდაზმულობა, დადგენილი შინა კანონმდებლობით ჩვეულებრივი დანაშაულის დევნისათვის.

საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტი სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სახელით მოუწოდებს ყველა ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფებს განაცხადონ პროტესტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ შეწყვიტოს ჰიტლერელ დამნაშავეთა დევნა და დანაშაულობათა ჩადენისათვის სასტიკი პასუხისგებაში მიცემა.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფი ზემოქმედებას მოახდენს ბუნდესტაგზე იმ ვარაუდით, რომ მან არ მისცეს საშუალება მძიმე ბოროტმოქმედების ჩამდენ ნაცისტ დამნაშავეებს თავი დააღწიონ დამსახურებულ სასჯელს, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნებიან ისინი აღმოჩენილი.

არ შეიძლება, რომ პიტლერელი დამნაშავეები დაუსჯელად დარჩნენ. უნდა მოვძებნოთ, დავაპატიმროთ და სასტიკად დავსაჯოთ თავიანთი ბოროტ-მოქმედებისათვის. ამას მოითხოვს მშვიდობის და ხალხთა უშიშროების ინტერესები, ამას მოითხოვს კაცობრიობის მომავალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ავღანეთში ჯალალაბადის საირიგაციო არხის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, რომელიც შენდებოდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 მარტის ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საბჭოთა მუშები და სპეციალისტები, სულ 31 კაცი, და 25 ავღანეთის მოქალაქე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი მშენებლობაზე.

საბჭოთა სპეციალისტებიდან დაჯილდოებული არიან: ლენინის ორდენით 2 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით—3, „საპატიო ნიშნის“ ორდენით—8, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 10 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 8 კაცი.

ავღანეთის მოქალაქეთაგან დაჯილდოებული არიან: შრომის წითელი დროშის ორდენით 3 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 4, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 9 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 9 კაცი.

ბრძანებულებები ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ნაწილი II

ბანუოფრელება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის, ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა

1. ელენე ბაგრატიის ასულ ვირსალაძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს.

2. ირინე მიხეილის ასულ **ზაალიშვილს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
3. მარიამ ალფეზის ასულ **კვიციანიას** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.
4. ევგენია ალექსანდრეს ასულ **მაკარევსკიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს.
5. ანაიდა პანოს ასულ **მანდენოვას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს.
6. თინათინ ნიკოლოზის ასულ **მრევლიშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
7. ელენე მიხეილის ასულ **ნანობაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, პროფესორს.
8. თამარ სტეფანეს ასულ **სულაკაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს.
9. ელენე ალექსანდრეს ასულ **ჭუთათელაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.
10. თამარ ირაკლის ასულ **ღლონტს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
11. ქსენია ევრემის ასულ **ცხაკაიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
12. ნინო ალექსანდრეს ასულ **ჯავახიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. დუდუხანა პლატონის ასულ **წეროძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. მადლენა გრიგოლის ასულ **ევთიშვილს** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.
2. ნატალია ალექსანდრეს ასულ **ჟუჟუნაძეს** — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს.
3. ელენე სერგის ასულ **ტერ-მინასოვას** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. ნატალია ეგვენის ასულ ავალიანს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სოლისტს.

